



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030459327370716

04-445/ო

29 / აგვისტო / 2016 წ.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სახელმწიფო პენსიის და სოციალური პაკეტის მიმღები ბენეფიციარებისათვის დანამატის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით გასატარებელი რიგი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 14 ივნისის N264 დადგენილებით დამტკიცებული „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისა და მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული/დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალისათვის დანამატის გაცემის წესისა და პირობების“ (2016 წლის 16 აგვისტოს N400 დადგენილებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარებისათვის სახელმწიფო გასაცემელზე (სახელმწიფო პენსია/სოციალური პაკეტი) დანამატის (შემდგომი–დანამატი) დანიშვნა/გაცემასთან დაკავშირებული საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, დაევალოთ:

ა) სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტს (ვ. ჯაფარიძე), უზრუნველყოს:

ა.ა) ავტომატიზებული აღრიცხვის სისტემებში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სახელმწიფო პენსიის და სოციალური პაკეტის მიმღებ პირთათვის, 2016 წლის 1 სექტემბრიდან, დანამატის დანიშვნა/გაცემასთან დაკავშირებით საჭირო პროგრამული ცვლილებების შეტანა;

ა.ბ) პროგრამული ცვლილებების პაკეტის სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისათვის (სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი, თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრი, რაიონული (საქალაქო) განყოფილებები) მიწოდება;

ა.გ) ყოველთვიურად, სახელმწიფო გასაცემლების დასაფინანსებლად საჭირო თანხების მოთხოვნაზე ტერიტორიული ერთეულებიდან, თვის პირველ სამუშაო დღეს, მიღებული ბაზების საფუძველზე, ერთიანი ბაზის მონაცემების შედგენა და შედარება სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ნაწარმოებ – მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირთა რეესტრთან, ბენეფიციართა იდენტიფიცირების მიზნით;

ა.დ) ამ პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შედარების შედეგად მიღებული ინფორმაციის სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისათვის მიწოდება;

ბ) სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებს, უზრუნველყონ:

ბ.ა) სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტიდან მიღებული პროგრამული ცვლილებებით ავტომატიზებული აღრიცხვის სისტემების განახლება;

ბ.ბ) ამ პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის (ზაზა) ავტომატიზებული აღრიცხვის სისტემებში ასახვა;

ბ.გ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სახელმწიფო პენსიის ან სოციალური პაკეტის მიმღებ პირთათვის, დანამატის დანიშვნის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (გადაწყვეტილებები) გამოცემა და თითოეული ბენეფიციარის საქმეში განთავსება;

2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ.გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გაგზავნა.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს დირექტორის მოადგილეს, თენგიზ აბაზაძეს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე